განკარგულება:**გ-37. 37232427**
თარიღი:**30/08/2023**

# განკარგულება N52

30 აგვისტო 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

## ქალაქ ოზურგეთში, ა. ნაკაშიძის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**მუხლი 1.** ქალაქ ოზურგეთში, ა. ნაკაშიძის ქუჩაზე (ს/კ26.26.48.473) განთავსდეს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართის დანართის 3.28. „დგომა აკრძალულია“, 8.4.1. „სატრანსპორტო საშუალების სახეობა“ საგზაო ნიშნები, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად (სქემა თან ერთვის დანართის სახით).

**მუხლი 2.** ამ განკარგულების თანახმად დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი